№ 105

შაბათი, 31 მაისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 105

შაბათი, 31 მაისი 1897 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| [illegible] . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 1 . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 1 . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲘᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

კვირას, 1 ივნისს,

ალექსანდრეს ბაღში

ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარებელ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გამართულ იქმნება

## სახალხო სეირნობა

და

ლატარია-ალეგრი

დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იქმნება: მომღერლები, ზურნა, დუდუკი და სხვა გასართობი.

დასაწყისი სეირნობისა ნაშუადღევის 2 საათზედ. ბაღში შესვლის ფასი 20 კ., ლატარიის ბილეთისა 20 კ. ლატარიისათვის ნივთების შემომწირველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწეს კნ. ვ. გ. ბარათაშვილისას (რეუტის ქუჩა, საკუთარი სახლი) ანუ გიმნაზიის დირექტორს. (5—ნ.—4)

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

—

კავკასიის მთავარ მართებლის თ. გოლიცინის ბრძანება 24 მაისს. გოდორის ნაწილის, სოხუმის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი შტაბს კაპიტანი ჩეჩელოვი დათხოვნილ იქმნა თანამდებობისაგან, რადგან თანამდებობის აღსრულების დროს სხვა-და სხვა ბოროტ მოქმედება ბრალდება, და ამის გამო გამოძიებაც სწარმოებს.

ვაცხადებ იმათს საყურადღებოდ და აღსასრულებლად, ვისაც შეეხება.

ხელმოწერილია: კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი თ-დი ᲒᲝᲚᲘᲪᲘᲜᲘ.

# ახალი ამბავი

—

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიიღო 300 მანეთი კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგან სხვა-და-სხვა სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

*** მომავალ დამატებითი არჩევანზე სახმოსნო ყუთის დადგმის უარი განუცხადეს ქალაქის მოურავის დროებით აღმასრულებელს კიდევ: თ. ი. ა. ანდრონიკაშვილმა, ა. ი. ოდნოსუმოვმა, ს. გ. სობენევსკიმ, ი. მ. ქართველიშვილმა, ი. ა. ბერნატოვიჩმა, თ. ი. გ. ჭავჭავაძემ, ს. ა. სლივიცკიმ, ს. მ. ლავროვმა, დ. ს. რუსანოვმა, ქ. ი. მამაცაშვილმა, ა. ნ. ორლოვმა, ვ. ვ. გრაბოვსკიმ, თ. ი. მაკარსკიმ, დ. ს. ქეთხუდოვმა, ა. ზ. ხაჩატუროვმა, გ. ე. თათუზოვმა და ი. ს. ოსტროვსკიმ.

*** ტფილისში გუშინ-წინ, 29 მაისს, საღამოს 9 საათზედ, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, სულ ცოტა ხნის შემდეგ მრავალ ქუჩაზედ მოვარდა დიდი ნიაღვარი. ავჭალის ქუჩა თავიდგან ბოლომდე მდინარედ გადაიქცა. ამ ქუჩის ბოლოს, კაზლოვის ნომრებთან ისეთი დიდი და ჩქარი წყალი მოდიოდა, რომ არც ტრამვაის შეეძლო გავლა და არც ეტლს. ერთმა მოხუცმა კაცმა გაჰბედა წყალში გასვლა, შუამდე რომ მიაღწია, წყალმა წაიქცია და მტკვარში ჩაიტანა. მერე ასეთივე დღე დაადგა ერთს ჯარის კაცს, რომელიც ფეხით უნდა გასულიყო წყალში. ამავე დღეს ნავთლუღში ნიაღვარმა ფურგუნი მოიტაცა. ფურგუნში 19 კაცი იყო. თურმე ნიაღვარში უნდა გასულიყვნენ, წყალმა ფურგუნი გადააბრუნა და შიგ მჯდომი 19 კაცი ყველანი მტკვარს მისცა.

*** რადგანაც ტფილისის საყასბოში თურქული გაჩენილა, გაზ. „Кав. С. Хоз." ურჩევს საზოგადოებას აუდუღებელი რძე არ იხმაროთო. „Deutsche Medicinische Wochenschrift"-ში მოყვანილია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ გადასდებია თურქული კაცს ავადმყოფის საქონლისაგან, როდესაც ამ უკანასკნელის რძე, ყველი ან სხვა რამე უხმარია. ერთს სტუდენტს, მაგალითად, ხაჭო უჭამია და ისე გადასდებია თურქული: პირში, ყანყრატოში და სახეზედ მუწუკები დაუყრია და მხოლოდ 11 დღის შემდეგ მორჩენილა. ერთ ბალღს (9 წლისას) თხის რძისაგან წყლულები გასჩენია ტუჩებსა, ენასა და სახეზედ და ორი კვირა ყოფილა ავად. ასეთი ავადმყოფები ძალიან ხშირია, მაგრამ მიზეზი არ იციან და ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე.

*** როგორც შევიტყეთ, ახლად შემდგარი ქართული ხორო ბ ნ კავსაძის ლოტბარობით და მჭედლიშვილის გამგეობით განჯაში წასულა და იქ, დღეს 31 მაისს, კონცერტს გაჰმართავს, ტფილისში და სხვა ქალაქებში ხსენებულმა ხორომ საზოგადო სიყვარული და ყურადღება დაიმსახურა და უთუოდ განჯის საზოგადოებაც სიამოვნებით დაესწრება კონცერტს, მით უმეტესს, რომ განჯელი ქართველები ძალიან იშვიათად ეღირსებიან ხოლმე ეროვნულ სიმღერის მოსმენას.

*** დ. სამტრედია. 9 მაისს სამტრედიაში დაითვრნენ ორი გლეხი: კალაძე და ზამთარაძე. საღამოს, როდესაც სახლში მოდიოდნენ, მოუვიდათ ჩხუბი და კალაძემ მძიმედ დასჭრა წვივში ზამთარაძე. რკინის გზის სადგურის ჟანდარმებმა კალაძე დააპატიმრეს შეადგინეს ოქმი და გადასცეს გამომძიებელს.

*** ს. ქწერი (ქუთაისის მაზრა). 12 მაისს აქაურ სოფლის კანცელიარიაში მოიყვანეს დატუსაღებული სვირის საზოგადოების მცხოვრების ნ. დათუიშვილის 23 წლის ლამაზი ქალი, რომელიც უნდა გადაეცათ ბაღდადის ბოქაულისათვის. აი საქმე როგორ იყო: ამ ქალს თავის სოფელში შეჰყვარებია ერთი ყმაწვილი კაცი და ისა ჰყოლია ამორჩეული საქმროდ, მაგრამ დედ-მამას ნება არ დაურთავს ამ ქალისათვის. ქალი გამოქცეულა დედ-მამის სახლიდგან და ამ ორის კვირის წინად ჩამოვიდა თურმე დ. სამტრედიაში. აქ მაშინვე გაუჩნდა მას რკინის გზის მოსამსახურე, რომელმაც აიყვანა ეს ქალი ჯვარ დაუწერლად და იმას ჰყავდა. მალე ამ მოხელეს დამუშტრებია ერთი მისი ამხანაგთაგანი, რის გამოც მოსვლიათ ჩხუბი და ბევრი უცემიათ ერთმანეთისათვის. ეს ამბავი მივიდა პოლიციის ყურამდე. პოლიციამ ჩამოართვა ორივეს ქალი და გაჰგზავნა ბაღდადის ბოქაულთან.

*** ს. კულაში. ჩვენ სოფელში ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელს გარდა კიდევ არსებობს მეორე ორკლასიანი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. სასწავლებლის ხარჯს ვიხდით, მაგრამ არ იქნა, რიგიანს სწავლას ვერ ვეღირსეთ. მეტად მოგვაბეზრა თავი ყოველ ორ-სამის თვის შემდეგ მასწავლებლის გამოცვლამ, რის მიზეზიც აი რა არის: პირველ მასწავლებლად არის აქ ამავე სოფლის ვ. კანდელაკი, რომელსაც ეძლევა დადგენილი ჯამაგირი, მეორე მასწავლებლის ჯამაგირი-კი იკრიბება მოსწავლეებისაგან, რომლებიც იხდიან სწავლის ხარჯს 3 მან. წელიწადში. ამ მეორე მასწავლებელს კი არ ეძლევა რიგიანად ჯამაგირი. ვინც მოვიდა მასწავლებელი, ერთის თვის შემდეგ, როცა მოითხოვა ჯამაგირი და ვერაფერი მიიღო, ქუდ-მოგლეჯილი, მშიერის კუჭით უკან გაიქცა.

*** ჭიათურა, 28 მაისი. შავის ქვის წარმოების შეჩერებამ ძალიან ცუდი დღე დაგვაყენა ჭიათურელებს. შავის ქვის მუშაობა დიდ საშუალებას გვაძლევდა როგორც მოვაჭრეებს, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლებს და მუშა ხალხს. ამათ ხელში მუდამ დიდი ფული ტრიალებდა და არც ერთი გაჭირვებას არა ჰგრძნობდა. დღეს-კი შავის ქვის ფასის დაცემას უფულობა და ათას გვარი გაჭირვება მოჰყვა, მაგრამ ჩვენმა იღბალმა ეს არ გვაკმარა. 26 მაისს ჭიათურას და მახლობელ სოფლებში მოვიდა ნიგვზის კაკლის ტოლა სეტყვა, რომელმაც ვენახები და ყანები მთლად გაანადგურა. დღეს საღამოს უზომოდ ადიდდა პატარა ხევი, რომელიც შიგ ჭიათურაში ჩადის.

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲛᲣᲥᲐᲠᲐ

დემოსთენსა ვთხოვ მჭევრმეტყველებას,
ვილიამ შექსპირს შხამ-გესლის ენას,
ნაპოლეონსა მძლავრს მრისხანებას,
მღელვარე ზღვასა გულისა წყენას,
ცის ჭექა-ქუხილს მეხის ნაპერწკლებს,
სიტყვის ქარიშხალს ღვართქაფის დენას,
ცა-ქვეყნის ძალთა მძლეთა მძლეობას,
მართლ-მსაჯულებას პირუთვნელ ზენას—
და ვაი მაშინ შენ, ბოროტებავ:
მოგაშლევინებ ამ ქვეყნად რბენას,
სიტყვით მიწამდის განადგურებულს
სადაც მოგატან, მოგგლეჯავ ენას,
დაგთხრი თვალებსა და შენსა ლეშსა
გავაწეწინებ ნადირთა ღრენას!..

დ. მაჩხანელი

## ᲣᲪᲮᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ყორანი და მაჰმადიანი ქალი.—ცოლქმრობა ოსმალთა.—გაუთხოვარ და ქვრივის ქალის ბედ-იღბალი.—ქორწინება დროებით.—რომელი ქალი ეღირსება სამოთხეს.—გაყრა.—მდიდარ ოსმალელის სახლი.—ჰარამხანა.—რას აკეთებენ ოსმალთა ქალები.

ძნელია იმის გამორკვევა, რა აზრისა იყო მაჰმადი ქალის შესახებ. ყორანში ზოგან ქალი პატივის-ცემით არის მოხსენებული, ზოგან—ზიზღით. საზოგადოდ, მაჰმადიანთა სარწმუნოებითა და აზრით ქალს მამაკაცის უფლება და ღირსება არა აქვს, იგი მხოლოდ მსახური უნდა იყოს თვისის ქმრისა და მთელი თვისი სიცოცხლე ჰარამხანაში უნდა გაატაროს, კარგამოკეტილში. მაჰმადს ძლიერ უყვარდა ქალები, მრავალი ცოლიც შეირთო. ალლაჰმა უფლება მომანიჭა, რამდენიც გენებოს, იმდენი ცოლი შეირთეო. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მაჰმადის აზრით, ქალი მხოლოდ იმისთვის არის გაჩენილი ქვეყანაზედ, რომ მამაკაცს ასიამოვნოს. ოსმალის ქალს, ქუჩაში რომ გამოდის, პირზედ იაშმაქი აქვს ჩამოფარებული (პირბადე). თუ სახლში უცხო კაცი ვინმე ნახა, არც აქ მოიხსნის იაშმაქს.

ყორანში სწერია, დედაკაცი უწმინდური არისო, მხოლოდ ქმრის გულისათვის და მისის სურვილით თუ ეღირსება როგორმე სამოთხესაო; ამიტომ ქალი მთელს სიცოცხლეს ყურ-მოჭრილი ყმა და მონა უნდა იყოს თავისის ქმრისა და ყოველივე მისი ბრძანება აასრულოს. ყორანის ძალით ქმარს სრული უფლება აქვს დასაჯოს ცოლი დანაშაულისთვის, სცემოს და, თუ საჭიროა იქმნება, სახლიდგანაც გააგდოს. ქმარი არაოდეს და არა საქმეში ცოლს არ დაეკითხება, რჩევას არა სთხოვს. ოსმალური ერთი ანდაზა ამბობს: თუ კაცი ვერა ნახე, რომ რჩევა სთხოვო, შენს ცოლს მიჰმართე, მაგრამ ეს-კი იცოდე, რომ რასაც ცოლი გირჩევს, სწორედ იმის წინააღმდეგ უნდა მოიქცე.

ძნელი სათქმელია, რა მოელის ოსმალელ ქალს საიქიოს. ყორანის კარგად მცოდნენი ამბობენ, რომ ქალთა უმრავლესობა ჯოჯოხეთში წავაო, სამოთხეს მხოლოდ ახალგაზდა ლამაზი ქალები თუ ეღირსებიანო. ყორანი არაფერს ამბობს, რა ბედი მოელის ხანში შესულს გაუთხოვარს ქალსა და ქვრივს. უნდა მოგახსენოთ, რომ მთელს ოსმალეთში ქვრივს და ხანში შესულს გაუთხოვარს ქალს ყველა ზიზღით შეჰყურებს. ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ოსმალელ ქალისათვის გათხოვება ერთად ერთი ბედნიერებაა. თუ ქალი არ გათხოვდა, ამაოა მისთვის ღვთისმოყვარეობა, სათნოება, გულ-კეთილობა და სილამაზე. ოსმალელის აზრით, ამ ქალის ლოცვას ალლაჰი ყურსაც არ ათხოვებს. ამიტომ ოსმალელი ქალი სულ იმის ცდასა და ფიქრშია, რაც შეიძლება მალე გათხოვდეს და ვინც უნდა ამოჩნდეს პირველი საქმრო, გაჰყვება ცოლად და უარს არ ეტყვის. სწორედ სასაცილოა ეს ქმრების ძებნა ქალების მიერ, მექაში სალოცავად წასვლის დრო რომ მოვა. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ოსმალი მოვალეა თვით ალლაჰის წინაშე ერთხელ მაინც წავიდეს მექაში და პატივი-სცეს მაჰმადის საფლავს. რა თქმა უნდა ქალებიც მიდიან სალოცავად, მაგრამ ხანში შესულ ქალისა და ქვრივის ლოცვას ხომ ალლაჰი არ შეისმენს და ამიტომ ეს ქალები გაფაციცებით დაეძებენ ისეთს კაცს, რომ დროებით, მოგზაურობის დროს, მაინც შეირთოს ვინმემ.

„მაჰამედ-აღა", ეუბნება ამ დროს კაცს ქვრივი ან ხანში შესული ქალი, „გსურს თუ არა ჩემი ცოლობა მოგზაურობის დროს".

— „კარგიო", უპასუხებს აღა და ამ ცოლ ქმრობას არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს. შემდეგ მოდიან მოწმები და ხელს აწერენ, ესა და ეს კაცი და ქალი დროებით, მოკლეს ვადით კანონიერ ცოლქმარნი არიანო. მექქიდგან ხომ უკან დაბრუნდებიან, ცოლ-ქმარნი ერთმანერთს შორდებიან სამუდამოდ. მაგრამ თუ დროებით შერთულმა ქმარმა გაიგო, რომ მისი ცოლი მდიდარი ყოფილა, რაღა თქმა უნდა, თავიდგან აღარ მოიშორებს.

ცოლ-ქმარის გაყრა ოსმალეთში ძლიერ ადვილია. თუ ცოლი მოჰბეზრდა ქმარს, საკმარისია უთხრას: „დედაკაცო, წადი ჩემგან". ცოლი

მოდის, წყალი გადმოვიდა კალაპოტიდგან, დაანგრია წისქვილები, ბოგირები, შევიდა დუქნებში, საიდგანაც ხალხმა მოასწრო გამოსვლა, საქონელი ზოგი გადაარჩინეს, ზოგი კი დაიმტვრა და დაიკარგა. ხალხი მთელი დღე და ღამე დიდს გაჭირვებაში იყო, მაგრამ დახმარება არსაიდგან სჩანდა.

*** სოფ. ოქონი, (გორის მაზრა). ამ მაისის 24-ს ერთი სამწუხარო ამბავი მოახდინა გავარდნილმა ყაჩაღმა ილიკო ფუხაშვილმა თავისის ამხანაგებით. ოქონის მამასახლისმა ბ-ნმა ვანო ფალავანდიშვილმა ორი თავისი ჩაფარი გაჰგზავნა იქვე მახლობელ სოფელს კნოლეში. ეს ორნივენი ოსნი არიან, ერთი მიხა და მეორე არსენა. ნახევარი ვერსი გზა რომ გაიარეს, დახვდათ გზაზედ ილიკო ფუხაშვილი თავისის ორი ამხანაგით, ყაჩაღები ისხდნენ და ქეიფობდნენ თურმე. ჩაფრებმა გაქცევა ველარ მოახერხეს, რაკი ძალიან ახლო წააწყდნენ თავს, შიშისაგან თოფები გადაყარეს, რითიც აცნობეს ყაჩაღებს, ჩვენ არას გიშავებთ და თქვენც ნურას დაგვიშავებთო, მივიდნენ და თავი დაუკრეს. ყაჩაღებმა დააწვინეს ორივე და ისე სცემეს, რომ იმათი მორჩენა საეჭვოა. თოფის „კონდახით“ ჩაამტვრიეს თავ-პირი. მიხა ჩაფარი ისეა ნაცემი, ძნელად რომ უექიმოდ მორჩეს. ბოლოს შეკრეს ორთავე, აჰკიდეს ჩაფრის ერთს ცხენს აქეთ-იქით ტომრებსავით სიგრძეზედ, დაჰკრეს ცხენს ჯოხი და გამოაგდეს გზაზედ. ერთი საათი დახეტიალებდა ცხენი მინდორში კაცებ-აკიდებული, ხალხიც იქავ სთოხნიდა, მაგრამ ვიდრე ყაჩაღები არ წავიდნენ, ჩამოხსნა ვერავინ გაბედა. ეს საქმე იმიტომ მოახდინეს, რომ არსენა ჩაფარმა მონაწილეობა მიიღო კოტე ფუხაშვილის დაჭერაში, მიხა ჩაფარს-კი იმას აბრალებს ფუხაშვილი, რომ იმან ასისთავი ავალიანი სოფელს ქვათეთრში დაგვასხა თავს და ჩვენი დაჭერა უნდოდაო.

*** სადგური ბელაგოძი. სწორედ გაუგებარი და საკვირველია რითი აიხსნება შემდეგი გარემოება: ისე გაივლის ორი და სამი კვირა, რომ გაზეთს თვალითაც ვერა ვნახავთ და ხან კი ყველა №№-ს ერთად მოგვაყრიან ხოლმე. ხშირად ისეც მოხდება ხოლმე, რომ ჯერ ბოლოს გამოსული №№ მოგვდის, ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ წინა №№. ეს კიდევ არაფერი, რომ ყველა ნომრებს სრულად ვიღებდეთ და ბევრი მათგანი არ იკარგებოდეს. რასაკვირველია, ამაში მარტო ფოსტის მოხელენი არიან დამნაშავენი და კარგი იქნება ვისიც ჯერ არს ყურადღება მიაქციოს ასეთს არა სასიამოვნო გარემოებას, რომ შემდეგში მაინც დროზე მოგვივიდეს ჟურნალ-გაზეთები.

*** მარელისი (შორაპნის მაზრა). რაც დრო გადის, გლეხ-კაცს ცხოვრება თან-და-თან უფრო უჭირდება. მაშინ, როდესაც წინად იმის ნახევარსაც არ მუშაობდა რაც დღეს, მაგრამ მაინც კარგად სცხოვრობდა, დღეს საწყალი გლეხ-კაცი ოფლსა ჰღვრის, დღეს ღამესთან ასწორებს, ერთი წუთი მოსვენება არა აქვს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის: ძვირად თუ წლითი წლამდე სამყოფი სიმინდი მოუვიდა, უმეტესად კი იანვარში აღარაფერი მოეპოვება. მიზეზი ამისა მრავალია და მათში უმთავრესი ვენახის მოსპობა. ვენახი წინად გლეხს ძალიან ბევრ შემწეობას აძლევდა; ისეთი გლეხ-კაცი არ იყო, რომ წელიწადში რამდენისამე თუმნის ღვინო არ გაეყიდნა და ფული სხვა გაჭირვებისათვის არ მოეხმარა. ეხლა-კი ფილოქსერამ ისე გაანადგურა ვენახები, რომ არამც თუ გასასყიდი ღვინო მოუვიდეს, ყურძენსაცკი ველარა ჰხედავს. თითქმის ღვინოთი ისტუმრებდა ფოსტის ფულს და ყველა სხვა გადასახადს და ეხლა იძულებულია ყოველ ამისთვის სიმინდი გაჰყიდოს და თვითონ მშიერი დარჩეს. გარდა ამისა ჩვენ გლეხ-კაცს კარგი გამორჩენა ჰქონდა ქვა-გუნდის გადატან გადმოტანით და ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ჭიათურის რკინის გზის გაყვანამ ეს შემოსავალიც მოუსპო. წინედ ცოტად თუ ბევრად ტყის წარმოებაც იყო ჩვენში და აღარც ეს არის. ასეთს დღეში ჩავარდნილი გლეხ-კაცი, რასაკვირველია, პირნათლად ვერ გაუძლვება ათასგვარ ხარჯს და იძულებულია გაჭირვება და ვაი-ვაგლახი გამოსცადოს.

*** ხუთშაბათს, 29 მაისს, ტფილისის მე-5 ნაწილში მივიდა შუშის მცხოვრებელი იაკობ ნერსესოვი და გამოაცხადა, რომ დღეს დილით, როდესაც შინ არ ვიყავიო ნორაშენის ქუჩაზე, კულაშევის სახლში, ჩემს ბინაზედ ქურდები შეპარულან და 100 მანეთის სხვა და სხვა ავეჯი და 2 მანეთი ფულად მოუპარავთო. გამოძიება სწარმოებს.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

29 მაისს.

კრება დაიწყო დილის 11 საათზედ. კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარემ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა მიჰმართა საზოგადოებას შემდეგის სიტყვით: ვიდრე შევუდგებოდეთ საქმეების განხილვას, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს მოგაგონოთ, რომ ამა 1897 წლის 13 აპრილს სტატს-სეკრეტარს დურნოვოს ებოძა უმაღლესი რესკრიპტი, რომელშიაც გამოთქმულია მზრუნველობა ქონებით დაქვეითებულის თავად-აზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. ამავე საგნით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მიზეზები თავად-აზნაურობის გაღარიბებისა.

ამ ჟამად,რ ასაკვირველია, ძნელია ითქვას რა შედეგი ექმნება კომისიის შრომას, ხოლო ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ იგი ბევრს სარგებლობას მოუტანს თავად-აზნაურობას და არა მარტო ფულის მხრივ. მე ვფიქრობ კიდეც, რომ ისეთი საშუალება, როგორც უძრავი მამულების დაზღვევა, რომელიც ეხლა კერძო საზოგადოებებს და კაცებს უჭირავთ ხელში, თავად-აზნაურობას რომ გადასცეს, ძალიან ბევრს სარგებლობას მოუტანს ამ უკანასკნელს.

მაგრამ ამ კომისიაზედ ჯერ ადრეა ლაპარაკი. აქ საყურადღებო ის არის, რომ ხელმწიფემ ყურადღება მიაქცია ჩვენს მდგომარეობას დაცალკე კომისია დანიშნა საქმის დაწვრილებით გამოსარკვევად. რა-კი ვაუწყე საზოგადოებას ეს ამბავი, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგილოცოთ ახალი წყალობა ჩვენის ხელმწიფესი.

ამ სიტყვას ყველა ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მიეგება.

შემდეგ თავად გ. ი. თარხან-მოურავმა სთქვა, რომ კრებაზედ ისეთები არიან, რომელთაც ნამდვილი ცენზი არა აქვთ. ამიტომ კარგი იქნება, ცალკე კომისია იქმნას ამორჩეული და იმას მიენდოს კრების წევრთა უფლების გამორკვევა.

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი. ეგ უკანონობაა. მაზრის წინამძღოლებს კანონი ნებას აძლევს შეადგინონ სია იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც ჰსურს კრებაში მონაწილეობა მიიღონ.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე—წაიკითხეთ კანონის მე-IX ტ. მე-219 მუხლი და დაინახამთ, რომ ეგ უფლება მხოლოდ კრებასა აქვს.

თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი თქვენ მიერ ნაჩვენები მუხლი შეეხება იმათ, ვისი უფლებაც სასამართლოსაგან შეზღუდული იყო და შემდეგ აღდგენილი.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. იქ ნათქვამია „და სხვებიც“; მაშასადამე, ეს მუხლი ყველა თავად-აზნაურს შეეხება.

თავ. ი. კ. მუხრან-ბატონი. თქვენ კარგად არ განმარტავთ კანონს. მე ნებას არავის მივცემ იმ საგანზედ ილაპარაკოს, რომელიც კრებამ არ უნდა განიხილოს. ვსპობ ამ საგნის შესახებ ლაპარაკს და ვინც უკმაყოფილოა, შეუძლიან საჩივარი შეიტანოს, საცა წესი და რიგია.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება სახელმწიფო სასწავლებელში თავად აზნაურთა შვილებისათვის სტიპენდიების გამრავლების შესახებ. წაკითხულ მიწერ-მოწერიდგან აღმოჩნდა, რომ სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ მთავარ-მართებლის მიერ წარდგენილ წინადადების მინისტრთა კომიტეტში განხილვის დროს მათმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ ჰბრძანა, რომ ჩემს „ნამესტნიკად“ ყოფნის დროს კავკასიაში უმეტესი ნაწილი ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისა იგზავნებოდა სახელმწიფო ხარჯით შიდა გუბერნიების კორპუსებშიო, ხოლო ტფილისში კორპუსის დაარსების შემდეგ ასეთი წეს-რიგი შეცვლილ იქმნა და ამიერიდგან თავად-აზნაურთა შვილები ტფილისის კორპუსში შედიოდნენ, მაგრამ რიცხვი შემცირებულ იქმნაო. ამასთანავე თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ აწ არსებულის კანონის ძალით მხოლოდ სამხედრო წოდების შვილებს შეუძლიანთ კორპუსში შესვლა, მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ მკვიდრ თავად-აზნაურთა შვილების სწავლის საქმე გაცილებით ცუდს გარემოებაშია ეხლა, ვიდრე წინად იყოო. გარდა ამისა, თუმცა არა სამხედრო წოდების შვილებისთვის ხუთი ვაკანსიაა დაარსებული, მაგრამ ეს ისე ცოტაა, რომ სრულიად არ აკმაყოფილებს თავად-აზნაურთა საჭიროებასა. ამიტომ სასურველია, მთავრობამ ამ საქმეში დახმარება გაუწიოს თავად-აზნაურობასაო.

ფინანსთა მინისტრმა ვიტტემაც სცნო საჭიროდ ასეთის სტიპენდიის დაარსება და განაცხადა თურმე, რომ ამ საქმისთვის შემიძლიან გადავსდო საჭირო ფულიო.

მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება უმაღლესად მოწონებულ იქმნა 1896 წელს 26 იანვარს.

კავკასიის მთავარ-მართებელი შეჰკითხებია თავად-აზნაურთა მარშალს, რომელ სასწავლებლებში და რამდენი სტიპენდიაა სასურველი დაარსდეს ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისთვისაო და მარშალს პასუხად შეუთვლია საკმარისია დაარსდეს: ტფილისის კადეტთა კორპუსში 10 სტიპენდია და ამასთანავე ნება მიეცეთ თავად-აზნაურთა სხვა კორპუსებში შესვლა; ტფილისის სამ გიმნაზიაში ათ-ათი სტიპენდია, ხოლო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელში, თუ იგი დაარსდა, 20 სტიპენ-

---

იმ წამსვე პირბადეს ჩამოიფარებს, აჰკრებს თავის ბარგსა და ბარხანას და წავა. ცოლსაც უფლება აქვს თავის ნებით გაეყაროს ქმარს, მაგრამ ეს უფრო იშვიათი ამბავია, რადგანაც ქმარგაშვებულს ქალს სახელი უფუჭდება, ყველა ზიზღით უყურებს და ამიტომ ხელმეორედ გათხოვება მეტად ძნელია. მაგრამ, არ გეგონოთ-კი, რომ ოსმალელს ქალს სულ არავითარი უფლება არა ჰქონდეს; თუ ქმარი ძლიერ ცუდად ექცევა ცოლსა და ქალმა სამართალს მიჰმართა, იმის საჩივარს უსათუოდ მიაქცევენ ყურადღებას. გარდა ამისა ოსმალელ გათხოვილს ქალს სხვა უფლებაც მოეპოვება. თუ ქმარმა ცოლი გააგდო, ცოლი ხელცალიერი არ დარჩება და საკმაო ფული უნდა მისცეს. ამიტომ ცოლის გაგდება არც ისე ხშირია ოსმალეთშიო. რაც შეეხება მდიდარს კაცს, ფულს არა ზოგავს; თუ ცოლი მოსწყინდა, ფულს მისცემს, დაითხოვს და ეხლა სხვას მოიყვანს. კანონით, ოსმალელს შეიძლება ოთხი ცოლი ჰყავდეს, ხოლო ხასები-კი იმდენი, რამდენსაც მოისურვებს.

ხასებს ოსმალები ჰყიდულობენ. ადამიანის გაყიდვა ოსმალეთში სულაც არ არის საძრახისი. ყმა-ქალი ფასობს ათას მანეთიდგან დაწყებული 40 ათას მანეთამდე. თუ ოსმალელმ ცოლი დაითხოვა, შეიძლება თვისი ხასა შეირთოს ცოლად. ნაყოლი შვილები კანონიერად ითვლებიან.

ოსმალის ცოლი, შვილები (ვაჟები 7 წლამდე, ქალები—გათხოვებამდე) დედა, ნათესავი ქალები, ხასები და მოსამსახურე ქალები, ყველანი ერთადა სცხოვრობენ ჰარამხანაში. მდიდარის ოსმალის სახლი ორად არის გაყოფილი: სელიამლიკ, სადაც თვით ოჯახის უფროსი სცხოვრობს და მისი მოზრდილი შვილები და ნათესავები და ჰარამხანა—სადაც ქალები სცხოვრობენ. ჰარამხანას რკინის კარებები აქვს, რკინისავე მოაჯირიანი ფანჯრები და ბაღი, მაღალ ღობე-შემოვალებული. სიტყვა ჰარამ ნიშნავს აკრძალულს ადგილს. ასე ეძახიან ამ ადგილს იმიტომ, რომ ქალებისა და თვით ქმრის გარდა არავისა აქვს უფლება ჰარამხანაში შესვლისა. ასე ბრძანეთ ქმარსაც კი არა აქვს უფლება ყოველთვის შევიდეს ჰარამხანაში. მაგალითად, თუ ცოლის ოთახის კარებთან ქოში დაინახა, უკანვე დაბრუნდება და კარს არ შეაღებს. ქალი მხოლოდ ქმარს ეჩვენება პირბადე ახდილი და სხვას არავის. ამიტომ, თუ ოსმალის ცოლთან სტუმარი ქალი მივიდა, ცალ ქოშს დასდებს კარებთან. ეს იმის ნიშანია, სტუმარი ქალი მყავს, პირ ბადე არ აფარია, უეცრად არავინ შემოვიდეს და სახე არ დაუნახოსო.

თუ ოსმალელს არ ესიამოვნება ვისიმე ნახვა, არ უნდა სტუმრის მიღება, ან კიდევ მოვალეს უნდა დაემალოს, ჰარამხანაში შევა. სტუმარსა ან მოვალეს თუ მოახსენეს, ბატონი ჰარამხანაში ბრძანდებაო, მეტი არაფერი დარჩენია, უკან უნდა გაბრუნდეს.

ცოლებ შორის რომ შური და მტრობა არ ჩამოვარდეს, თითოს ცალკე ოთახებს აძლევენ, თითოეულს ცოლს იმდენი ოთახი აქვს და იმდენივე მოსამსახურე ჰყავს, რამდენიც მეორეს, მაგრამ ცოლები მაინც ვერა რიგდებიან ერმანერთში, ერთმანერთს ემტერებიან, ჩხუბობენ, ჯავრობენ და ამიტომ ჰარამხანაში ბევრი ქალი უდროვოდა კვდება ჰლექით.

მდიდარი კაცის ცოლები მთელს დღეს ჰორიკანაობაში ატარებენ, ან ჰარამხანაში, ან აბანოში. აბანოში რამდენიმე ქალი ერთად მიდის, აქვე სადილობენ, ყავასა სმენ, მღერიან და ცეკვავენ.

აი რას აკეთებენ ჰარამხანაში ქალები, ერთად რომ შეიკრიბებიან: ერთი სავარძელზეა გადაწოლილი და ტკბილეულს შეექცევა, ორნი რაღაცაზედ გაცხარებულნი ბაასობენ, ზოგი ფანჯარაში იყურება, ზოგი ერთის ოთახიდგან მეორეში დარბის, ზოგი ირთვება. როცა ყველა ეს მოსწყინდებათ, დაირას უკრავენ და ცეკვავენ, ერთის სიტყვით, მდიდარ ოსმალელის ცოლები მთელ დღეს თავის შექცევასა და გართობას უნდებიან, დილიდგან საღამომდე შეექცევიან საჭმელსა და ტკბილეულს, სწევენ თამბაქოს და სვამენ ყავას. ხშირად ჩხუბიც მოუვათ ხოლმე, უფრო სულ უბრალო რამეზედ და ისეთის უშვერის სიტყვებით ლანძღავენ ერთმანერთს, რომ კაცმა ყურში თითი უნდა დაიცოს. ბოლოს ჩხუბს მოჰყვება ხოლმე ცემა-ტყეპა და საშინელი აურ-ზაური.

თითოეულ ცოლის სურვილი ის არის, ქმარს სხვებზედ მეტად უყვარდეს და ამის წყალობით მე ვიყვე ბატონი და ბრძანებელი მთელს ჰარამხანაშიო. ამიტომ თითოეული ქალი რაც შეუძლიან ეალერსება ქმარს, ელაქუცება, ეფერება, აბეზღებს სხვა ცოლებს და ხშირად ცილსაცა სწამებს, რომ ქმარს შეაჯავროს. თუმცა ჰარამხანაში უცხო კაცის შესვლა ძლიერ ძნელია, მაგრამ არც თუ სრულიად შეუძლებელია. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ნათქვამია, და ჰარამხანის მცველებიც ხომ ქრთამს ცხვირ ზევით არ აიცილებენ, თუ ოსმალმა ცოლისა ან ხასის ღალატი შეიტყო, დამნაშავეს ტომარაში ჩასვამენ, პირს გაუკერავენ და ზღვაში გადუძახებენ. ამისათვის არც საქმის განხილვაა და არც სასამართლო. თითეული ოსმალი ხელმწიფეა თავისს ჰარამხანაში და ისე იქცევა, როგორც მოისურვებს.

ა. ნ.

დია სამსახურში არა მყოფ თავად-აზნაურთა შვილებისათვის.

თავ. ი. გ. ამილახვარი. რადგანაც მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე ჰზრუნავდა და ჰზრუნავს ჩვენის კეთილ-დღეობისათვის, ამიტომ კარგი იქნება კრებამ მადლობა გადაუხადოს.

კრებამ ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს მადლობის დეპეშები დიდს მთავარსა და ფინანსთა მინისტრს.

თავ. გ. ი. თარხან მოურავი. გუბერნატორს რომ პასუხს აძლევდით სტიპენდიების დაარსების შესახებ, გქონდათ თუ არა წინდაწინვე მოლაპარაკება თავად-აზნაურობასთან?

თავმჯდომარე. არა. წინადადება მხოლოდ ჩემს სახელობაზედ იყო გამოგზავნილი.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გუბერნიის მარშლის მოხსენება მისის სამის წლის მოქმედების შესახებ და კრება გადაიდო მეორე დღისათვის.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ბზვანი**, (ქუთაისის მაზრა), 14 მაისი. ჩვენი სოფელი ქ. ქუთაისიდგან 22 ვერსის მანძილზედ იმყოფება და დაბა სამტრედიიდგან-კი 30 ვერსისა. დღემდე მეტად გაჭირვებულნი ვიყავით უგზოობისა გამო, მეტადრე როდესაც მდ. რიონი მოიმატებდა; როდესაც მგზავრი წავიდოდა ქუთაისში, სახლში დაბრუნების იმედი აღარა ჰქონდა: გაწვიმდებოდა თუ არა, მაშინვე რიონი ადიდდებოდა და მეორე ნაპირას გასვლა შეუძლებელი იყო, რადგან ბორანის მაგიერ, მდინარეში უბრალოდ დატოვებული, მარ-გამომპალი ნავები დაცურავდა. სანამ მეორე ნაპირას როგორმე გააღწევდნენ, სავი ერთის ჩარექის სიმაღლეზედ წყალით აივსებოდა და მოგზაური დიდს გულის ფრიალში იყო. ეს ორი წელია, რაც სოფელი კახიდგან, რომელიც ჩვენგან 8 ვერსის სიშორეზეა, ყოველ დღე მიდის-მოდის დ. სამტრედიის რკინის გზის სადგურამდე „დელიჟანსი“ და „ლინეიკა“, რომლითაც მოგვეცა ცოტაოდენი საშუალება მგზავრობისა. ფასი სამტრედიამდე ერთის მგზავრობისა 50 კ. მდინარე რიონზედ სამს ადგილას გაბმულია ბორნები, მშვენივრად მოწყობილი, რომლებზედაც გადიან ეტლები და პირდაპირ მიდიან სამტრედიაში. ბორნებს ხელს არაფერი არ უშლის, თუ გინდ დიდი წყალ-დიდობაც იყოს. მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ არის კარგად გამართული მგზავრობა: „დილიჟანსს კიდევ არა უშავს-რა, „ლინეიკით“ მგზავრობას-კი ღმერთმა გაშოროსთ, რადგან მეტად საცოდავი ცხენებია შიგ შებმული, რომლებიც არა თუ ასეთს მოუკვნწავს გზაზედ, როგორიც არის კახიდგან სამტრედიის ბორნებამდე, არამედ კარგს გზატკეცილზედაც დიდის გაჭირვებით მიათრევენ ეტლსა.

ამას წინად „ლინეიკაში“ ისხდნენ სამი მოგზაურნი, ერთი ქალი და ორი კაცი; რამდენიმე საჟენის სიშორეზედ კახიდგან „ლინეიკა“ უნდა გასულიყო მდინარე სულორში; მივიდნენ თუ არა ცხენები შუა მდინარეზე, გაჩერდნენ და ადგილიდგან ვეღარ დაიძრნენ. თუმცა მეეტლემ საბრალო ცხენებს ჯოხით აუჭრელა უმისოდაც აჭრელებული ზურგი, წისლიც ბევრი სცემა, მაგრამ ვერას გახდა. იდგენ ერთ ადგილას ცხენები და ხტოდნენ წყალში. ნახევარი საათი მგზავრები წყალში იყვნენ გაჩერებულნი. ამ დროს დაინახეს ცხენოსანი კაცი და სთხოვეს დახმარება; ცხენოსანმა მიაყენა ცხენი და თითო-თითოდ გაიყვანა წყლიდგან. ბოლოს კაივკაგლახით ამოათრიეს ლინეიკაც. სწორედ საბრალულით აგვევსებოდათ გული ამ დროს, რომ ცხენებისათვის შეგეხედათ: ზურგი და ფეხები მთლად დასისხლიანებული ჰქონდათ; ეს როდი დააჯერა მეეტლემ: მოსდგა შემდეგ და იმდენი სცემა, ვიდრე გული არ იჯერა. საჭიროა, რომ ლინეიკის პატრონს მეორე გამოსაცვლელი ცხენებიც ჰყავდეს და ყველას რიგიანად ასაზრდოვებდეს.

11 მაისს ჩვენს სოფლის სამმართველოში მობრძანდა ბაღდადის ბოქაული ბ-ნი ფაღავა და მთელის საზოგადოების გლეხების კრება მოახდინა ქურდების შესახებს გლეხებს გამოუცხადა, რომ ქურდებ. გადმოგვეცითო. გლეხებმა უპასუხეს, ვიცით ვინც არიან ქურდები ამ საზოგადოებაში და კიდეც დავასახელებთ, თუ იმათ მაშინვე დაპატიმრებთ და შემდეგ საზოგადოების განაჩენით მოაშორებთ საზოგადოებას, თორემ თუ განთავისუფლებულ იქმნენ, საზოგადოებას მთლად გაანადგურებენ და გადაჰბუგავენ. როდესაც ბოქაულმა საზოგადოებას პირობა მისცა, რომ ქურდები დაპატიმრებულნი იქმნებიანო, მაშინ ხალხმა ერთხმად დაასახელა ოთხი კაცი, რომლებიც მაშინვე იქმნენ დაპატიმრებულნი. მალე ბ-ნი ფაღავა მოახდენს თავად-აზნაურობის კრებასაც და იმათ შორისაც გამოსძებნის ქურდებს. ეს ქურდები განაჩენით იქმნებიან გადასახლებულნი შორეულ ქვეყნებში. ბ-ნი ფაღავა ჯერ ახალგაზდა კაცია: სამი თვეა რაც დაინიშნა ბაღდადის ბოქაულად და იმედი უნდა ვიქონიოთ, ასეთს საქმეებს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს. ჩვენ სოფლის ოთხის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს ს. ამაღლება. ამ სოფელში მცხოვრები გლეხი ბიბილეიშვილი ბათუმში იყო წასული სამუშაოდ. წარსულს კვირას ეს გლეხი ავად გამხდარიყო და წამოსულიყო სახლში, სადაც სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. არ გასულა სამი დღე, ამავე ოჯახში გახდა ავად მეორე და ისიც მალე მოკვდა, თან მიჰყვენ მესამეც და მეოთხეც. ამგვარად ერთი ოჯახი მთლად ამოწყდა. სოფლის ადმინისტრაციამ შეატყობინა მაზრის ექიმს, რომელიც მაშინვე მობრძანდა და აღმოაჩინა, რომ ეს ოჯახი რაღაც, ერთგვარ სოფლეს ამოუწყვეტია.

ვლადო ბზვანელი

## სად არის ჩვენი ხსნა?

საშიშარს მდგომარეობაშია ჩავარდნილი ამ უკანასკნელს ჟამს მთელი დასავლეთის საქართველო. ნივთიერი სილატაკე იქამდის მძიმე უღლად აწევს ხალხს თავზედ, რომ ლამის დაასაწყლოს და ყოველივე სასოება მოუსპოს უკეთესის მერმისისა. დაჩაგრული და გულ-გატეხილი ხალხი ჩაჰყურებს მწირს დედა-მიწას და უიმედოდ შესცქერის ზეცას, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არაფერს სანუგეშოს არ იძლევა.—ასეთი უნუგეშო მდგომარეობა ხალხისა სწორედ ღირსია დიდის ზრუნვისა და დაფიქრებისა ყველა იმათ მხრივ, ვისაც გული შესტკივა ჩვენის ხალხისათვის. მაგრამ სამწუხარო და სავალალოც ის არის, რომ ვისაც ჩაფიქრებისა და ზრუნვის დრო და შეძლება აქვს, იმათ ლუკმაც მოეპოვებათ საჭმელად, და ეს ხომ ყოველთვის აგრე არის, რომ მაძღარი მშიერის მუცლის ტკივილს მაგრე ადვილად ვერ შეიგნებს... ჩვენ მზრუნველთაც ვერ გაუგიათ და ვერა ჰზრუნავენ ხალხის გაჭირვებაზედ და ისინიც ამ უკანასკნელსავით ცისა და მიწის მაყურებელნი არიან, აცა, როდის კეთილ ინებებენ და უხვს მოსავალს მოიყვანენო. თუ არა ბუნების ძალისა, ადამიანის კულტურულ ხერხისგან ხსნას არ მოელიან და არც ხელს ანძრევენ. ასეთ შემთხვევაზედ მიგდება საქმისა რამდენად სასარგოა, ეს ხომ ყველამ კარგად იცის. ასე გვგონია, თითქოს ხალხის უბედურების მიზეზი დასავლეთ საქართველოში მარტო სიმინდის ფასის დაცემა იყოს და სხვა უფრო ღრმა მიზეზი არ იმალებოდეს ამ მოვლენის ძირში. თითქოს საკმარისი იყოს გაჭირვების ასაცილებლად და დაცემულის ხალხის ფეხზედ დასაყენებლად მარტო ის გარემოება, რომ სიმინდის ფასმა დღევანდელი 30 კაპეიკიდგან ფუთზედ ათ შაურამდის აიწიოს. არა, ბატონებო, ეს ასე არ მოხდება, როგორც არ მოხდა მაშინაც, როცა სიმინდი კაი ფასად იყიდებოდა. ეს გარემოება ცოტაოდნად ასწევს ზოგიერთ დიდ მემამულის მდგომარეობას და არა უმრავლესობისას, რომელსაც სიმინდი საყიდელი თუ არა აქვს თავისათვისაც, გასასყიდი მაინც არ მოეპოვება.

საქმე ის არის, რომ ცხოვრების მოთხოვნილებანი ძირითად ცვლილებას მიეცნენ. გართულდნენ, გაფართოვდნენ და ეს გაფართოებულ-გადიდებული მოთხოვნილება აეგო ერთ სიტყვაზედ — ფული. დღეს ყოველივე: გარდასახადი, საცმელი, საჭმელი, იარაღი, ყანა, ბაღჩა, გზა-ხიდი, წისქვილი, დუქანი და სხ. ფულს ითხოვს, ხოლო ფულის შემომტანი წყარო-კი ისევ ძველებურად არის დამშრალი, როცა ფული ასეთი ყოვლის შემძლებელი არ იყო და უმისოდ კაცი იოლად წავიდოდა შინაურ მეურნეობითაც. ერთის სიტყვით, ახალმა ვითარებამ დაჰბადა ჩვენშიაც ფულის აუცილებელი მოთხოვნილება და ჩვენ-კი ძველებურის საოჯახო მეურნეობით გვინდა ეხლაც ცხოვრების გზაზედ სვლა; ცხოვრებას ალთას მივყევართ, ჩვენ ბალთას მივეშურებით. ასეთი უთანხმოება ამ ორ მოვლენათა შორის გვაგდებს უკიდურესს მდგომარეობაში და ამას შეგნება უნდა. ნუ თუ გვგონია, რომ ჩვენებური მეურნეობით იმდენს სიმდიდრეს ამოვაცლით მიწას, რომ მის შეუმუშავებლად გაყიდვა უცხოეთში დააკმაყოფილებს ჩვენს პირდაღებულ ვეშაპს—მოთხოვნილებას? ჩვენში საწყლად და კნინად მონაცოდვილევი სიმინდი იქნება იგი, თუ პური ან ღვინო, აუვა ჩვენს უკვე „გაევროპიელებულ“ მოთხოვნილებას, როცა უბრალო ძაფიდამ დაწყებული ყოველივე ფაბრიკის და ქარხნის ნაწარმოები გვჭირდება და ზღვის იქიდგან ვეზიდებით? არა, ბატონებო, ეს წყარო არც საიმედოა და არც საკმარისი! საიმედო არ არის იმითი, რომ გარეშე ბუნების ხელში ჩაჭერა ძნელი საქმეა და არ იკმარებს იმიტომ, რომ, მიწის საშინელ სიმცირეს რომ თავი დავანებოთ, მის დამუშავებასაც ის უნდა, ურომლისობაც სულს გვიხუთავს—ფული. უკეთესს შემთხვევაშიაც-კი ჩვენი მიწა ვერც მაგდენს ამოიღებს თავს გულიდამ, რომ ნედლად მისის გაყიდვით თავი გერჩინებოდეს დღევანდელის დღის შესაფერად.

საჭიროა, აუცილებლად საჭირო, რომ ყოველის ჩვენის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგანი ჩვენშივე იქმნას შემუშავებული, ჩვენშივე დაიხსნას ქარხნები, ფაბრიკები და გაიმართოს მრეწველობა, რასაც აღებ-მიცემობაც თან მოჰყვება და ფული დატრიალდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილობრივმა ნაწარმოებმაც ფრთა გაშალოს და ფასიც მოიპოვოს. მეურნეობა პირდაპირ ფულის საშოვნელად ვისაც დაუსახავს, შემცდარია, მხოლოდ მრეწველობის მასალად-კი გამოდგება. მეურნეობას თვით-მრეწველობა აადგმევინებს ფეხს და ფერს უცვლის. თვით ცხოვრება ისე მედგრად თხოულობს ჩვენგან დღეს გაჭირვებიდამ თავის დასაღწევად არა მარტო მეურნეობაზე გარიყვას, არამედ მრეწველობის გაძლიერებას, რომ დასავლეთის საქართველოში ამ მოთხოვნილებამ უკვე გაგლიჯა ჯაჭვი ჩვენი სამეურნეო კონსერვატორობისა და აგერ სამი საალებ-მიცემო სამრეწველო ამხანაგობა შეადგინა. ხონისა და გურიის ამხანაგობანი უკვე ცნობილნი არიან და ამათ ახლა მესამე ძმაც მიემატა, სახელდობრ „სამეგრელოს საალებ-მიცემო და სამრეწველო ამხანაგობა“. ეს ამხანაგობა ძლიერ ნორჩია, მაგრამ, სამაგიეროდ, ძლიერ ცოცხლად და ერთგულად შეუდგა საქმეს. კარგა ბლომად ჩაეწერა წევრები და ფულებიც მოგროვდა, ასე რომ ამ წელსავე ჰფიქრობს აბრეშუმის პარკის ყიდვა-გაყიდვას. ამხანაგობას ორი კრება უკვე ჰქონდა დაბა ძველ-სენაკში და საჭირო კაცები საქმის მწარმოებლებათ უკვე აირჩია. არჩეულთა შორის ურევიან ისეთი სანდო კაცნი, როგორნიც, მაგალითებრ არიან ბ-ნნი ლევან ქავთარაძე, მღ. მ. თურქია, თ. გიორგი ჩიჩუა და სხვები, რომელნიც უეჭველია საქმეს არ წაახდენენ და ყოველს ღონისძიებას იღონებენ შეცდომების თავიდამ ასაცილებლად. დიდის მადლობის ღირსია ამ ამხანაგობის მოთავე და სულის ჩამდგმელი თ. გიორგი ჩიჩუა, რომელიც არ მოერიდა არავითარს დაბრკოლებას, შრომას, ხარჯს, და მოცდენას და საქმე მოაგვარა. ბოლოს სრული იმედი უნდა ვიქონიოთ სამეგრელოს ფხიზელისა და მოძრავის საზოგადოებისა, რომ ამ ახალსა და ფრიად სასარგებლო საქმეს ყურადღებასა და თანაგრძნობას არ მოაკლებს.

ისრამიშვილი.

## რუსეთი

გაზეთის „ვარშ. დნ.“ სიტყვით, ივნისში გამოსცდიან ტელეფონს ვარშავასა და პეტერბურგის შორის.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა განიხილოს პროექტი შესახებ სამხრეთ რუსეთის ქარხნების მუშების შემწეობისათვის დაარსებულ კასებისა.

— რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეადგინოს კომისია და დაავალოს განხილვა აწინდელ კერძო სამუსიკო სასწავლებლების წესდებათა. კომისიამ სხვათა შორის უნდა დაადგინოს რა ცენზი უნდა ჰქონდეს იმას, ვინც სამუსიკო სკოლას აარსებს და აწარმოებს.

— საერთა-შორისო სასტატისტიკო კრებაზედ, რომელიც პეტერბურგში უნდა მოხდეს, საზღვარ-გარეთიდგან ას კაცამდე მოელიან, უმეტეს ნაწილად იქაურ სასტატისტიკო დაწესებულებათა დირექტორებს.

## უცხოეთი

**ავსტრი-უნგრეთი.** ავსტრი-უნგრეთის დეპუტატთა პალატაში, როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, მინისტრ-პრეზიდენტის გრაფ ბადენის განკარგულებამ ჩეხელთა ენის უფლებათა გაფართოვების შესახებ დიდი კამათობა და არეულობა გამოიწვია დეპუტატთა შორის. პალატის გერმანელ დეპუტატებს არაფრის გულისთვის არ უნდოდათ ბადენის სურვილი განხორციელებულიყო და ჩეხურ ენას ისეთივე უფლებანი ჰქონოდა იქ, სადაც ჩეხელები სცხოვრობენ, როგორც ავსტრი-უნგრეთის სახელმწიფო ენასა აქვს. მაგრამ ბადენმა ყურადღება არ მიაქცია დეპუტატთა უკმაყოფილებას და თავისი მაინც გაიყვანა: ჩეხელთა ენა გათანასწორებულ იქმნა გერმანულ ენასთან. ამ გარემოებამ თითქმის თავზარი დასცა გერმანელ დეპუტატებს და საშინელი სიძულვილი აღუძრა როგორც ჩეხელების, აგრეთვე მინისტრ-ბადენის წინააღმდეგ. რომ კანონიერად ვეღარაფერი გააწყეს, ყოველგვარ უკანონო საშუალებას მიჰყვეს ხელი და ისე კრება არ ჩაივლიდა, რომ უსაქციელო რამ არ ჩაედინათ. კრებებზედ თავ-დაჭერილ ბაასის ნაცვლად უშვერის სიტყვებით ლანძღვა-გინების მეტი აღარა გაისმოდა-რა. ერი გაკვირვებული უცქეროდა დეპუტატთა ასეთს საქციელს და ნება-უნებურად ეკითხებოდა თავისს თავს: ნუ თუ ამათ უნდა გადაწყვიტონ ჩვენი ბედ-იღბალი და წარმატების გზაზე დააყენონ სახელმწიფოო. ბოლოს მთავრობა იძულებული გახდა პალატის სესია დაეხურა და დეპუტატები დაეთხოვა.

გერმანელთა დეპუტატების საქციელით უკმაყოფილონი დარჩნენ არა მარტო ჩეხელები და საერთოდ სლოვიანთა ხალხი, არამედ თვით ავსტრიელი გერმანელებიც-კი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ზემო ავსტრიის მცხოვრებთ შემდეგი პეტიცია შეუტანიათ დეპუტატთა პალატაში: ხალხი გულის ტკივილით უყურებს იმას, რაც ეხლა პალატაში ხდება. იმას იმედი ჰქონდა, რომ ახალი პარლამენტი მეტ მხნეობასა და შრომას გამოიჩენდა, საქმეს უფრო გულდადებით გასჩხრეკ-გამოიკვლევდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყოველივე იმედი გაიცრუვა და ისეთს საშუალებათ მიჰყო ხელი, რაც განათლებულ ხალხს არ შეშვენის. ამ გაჭი-

რევბის დროს სრულიად მეტია დღეში რამდენიმე ათასის გულდენის ხარჯვა. მცხოვრებელნი თხოულობენ დეპუტატთა პალატისაგან სასარგებლო საქმის გაკეთებას და არა უთავბოლო ლაყბობასაო.

—

**ბოლგარია.** ბოლგარიის მთავრობის წრეებში დიდი სჯა ბაასია მაკედონიის იმ კუთხეების ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, სადაც ბოლგარელნი სცხოვრობენ. ხმა დადის, ვითომც მონასტირის, სკოპლის და როლუნის მცხოვრებელთ თვით მართველობა უნდა მიენიჭოთ, რომლის სათავეშიაც სულთანის ერთ-ერთი შვილი იდგებაო. ასეთის პროექტის განსახორციელებლად ნიადაგი უკვე მომზადებულიაო. ამბობენ, რომ ამ საქმის გამოსარკვევად სულთანს უნდა ევროპის წარმომადგენელთა კონგრესი მოახდინოს პარიზსა ან პეტერბურგშიო.

**ოსმალეთი.** გაზ. „Politiken“-ის კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი, რომელსაც ფაუდ-ფაშასთან ჰქონია ლაპარაკი, იუწყება, რომ სულთანს ზავის ჩამოგდება უნდა, ხოლო სამხედრო დასი წინაალმდეგია ამისა და არას გზით არ უნდათ თესალიიდგან ჯარის გამოყვანაო. თუ თესალია ოსმალეთს არ დაეთმობა, ომი უნდა განეგრძოს, ვიდრე გამარჯვებული ჯარი ათინამდე არ მივაო.

## დამაკვირდი

გამბედავს თვით ბედიც ხელს უმართავს.

სიმონიდი

***

კარგი ქათამი ცალის თვალით მარცვალსა ჰხედავს და მეორე თვალით მგელსა.

რუსული ანდაზა

***

საქმეც რომ ისეთი ადვილი იყოს, როგორც აზრია, მთელი ქვეყანა საუცხოო ქმნილებანით აივსებოდა.

როპახი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო შესახებ იმისა, თუ რამდენად გამოსადეგია და სასარგებლო ახლად გამოგონილი ნავი, რომელიც წყალ-ქვეშ დადის თავისუფლად. ამ ნავით შეიძლება ზღვის ძირში მოკრება მარგალიტისა, პოვნა დაღუპულ გემისა და სხ. მაგრამ მარტო ამით არ არის გამოსადეგი ეს ახალი ნავი. ზღვაზედ გემის მოგზაურობას მრავალი გარემოება უშლის ხელსა: ღელვა, ჯანღი და ბურუსი, რის გამოც ხშირად ერთი გემი მეორეს ეჯახება. დასასრულ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ღელვის დროს მრავალი მგზავრი ავადა ხდება გულის რევით. სიღრმეში-კი ნავითა და გემით მოგზაურობას ხელს ვერ შეუშლის ვერც ქარი და ვერც ღელვა. მხოლოდ ერთი გარემოება დაუშლის აქ ნავსა. ეს გახლავთ სიბნელე ზღვის სიღრმეში. ბევრი ამბობს, რომ ზღვაში საკმაო სინათლე არისო, რაც უნდა ღრმა იყოს ზღვა, ძირში მაინც კარგადა სჩანს ყველაფერიო, თითოეული კენჭიც-კი დაითვლებაო. ეს მართალი არის, ადამიანის თვალი კარგადა ჰხედავს ყველაფერს, როდესაც ზღვის ძირს ზევიდგან დასცქერის... მაგრამ, თურმე ნავი რომ დადის ზღვის სიღრმეში, წინ სამ ოთხ ნაბიჯის მანძილზედ სრულებით არა სჩანს რა. ბ-ნი ლანასენი ამბობს, ნავით ჩავედი ზღვის სიღრმეში და სრულიად ვერაფერი ვერ დავინახე 5 ნაბიჯის სიშორეზეო. მეცნიერები მაინც იმედს არა ჰკარგავენ და ამბობენ, დღეს თუ ხვალ ამასაც ეშველება რამე და გემს ისეთს მანქანას გავუკეთებთ, რომ თითონ გაინათოს ზღვა. ერთმა ფრანგმა გვარად გუმეპ შემდეგი პროექტი შეადგინა ზღვის სიღრმეში მოგზაურობისა. ამ პროექტით კალესა და დუვრის შუა ზღვის ძირში უნდა გაიჭიმოს მკლავის სისხო მავთული, ამ მავთულს გაუყრიან გემზედ მიმაგრებულ რგოლებსა და ამ გვარად გემი ისე ივლის, რომ თავის გზას არ ასცდება. ასეთის გემით სიარული სრულებით არ იქმნება საშიში, რადგანაც ვერც ღელვა დაუშავებს რასმეს და ვერც მეორე გემს დაეჯახება.

ამ გვარად ჟიულ-ვერნის რომანებში მოთხრობილი საკვირველი და დაუჯერებელი ამბები თითქმის ასრულდეს ეხლა.

რაღა თქმა უნდა, ძნელად წარმოსადგენია, რომ მალე ჰაერში საფრენი მანქანა გამოიგონონ, მაგრამ მეცნიერებს მაინც იმედი აქვთ, რომ ადრე თუ მალე ასეთს მანქანასაც გამოიგონებენ. მართალია, აქამდე ჯერ ასეთი მანქანა არ არის, მაგრამ არც თუ დიდი ხანია, რაც დარწმუნდნენ, რომ ჰაეროსტატი ჰაერში საფრენად არ გამოდგება და სულ სხვა გზას შეუდგნენ. ეხლა ყველამ კარგად იცის, რომ სიმძიმე მანქანისა ჰაერში ფრენას ვერ დაუშლის, თუ სხვა მხრივ კარგად იქმნება მოწყობილი. მრავალი მეცნიერი აკვირდება ეხლა ფრინველებს, რომ გაიგოს და გამოიკვლიოს თითოეული მოძრაობა ფრთებისა, რათა მერე იმის მიბაძვით გამართოს ჰაერში საფრენი მანქანა. ამ ჟამად უკვე ორი კაცი აკეთებს ასეთს მანქანას. ერთი ამერიკელი ინჟინერია გვარად Lengley და მეორე—ბრიუნის პროფესორი ველნერი. ორთავე მანქანა უნდა ამოძრავოს ორთქლმა. Lengley-ს მანქანას ორი დიდი ფრთა ექმნება—იალქანის მგზავსი, ველნერისას—სუბუქი ვინტები, ისეთი, როგორც გემებსა აქვს. ერთიცა და მეორე მანქანაც ჯერ-ჯერობით მარტო ერთს ვერსს გაივლის და მაღალ მთიდგან უნდა დაიწყოს ფრენა, რადგანაც მანქანას იმდენი ძალა არა აქვს, რომ ჰაერში ავიდეს თავის თავად. ჯერ ჯეროზით თუ ეს მაინც მოხერხდა, ისიც დიდი საქმე იქმნება, რადგან შემდეგში უფრო ადვილი იქმნება მანქანის გაუმჯობესობა.

30 მაისი.

## უმაღლესი მანიფესტი.

**წყალობითა ღვთისათა**

ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე,

იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა, და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა:

29-სა დღესა ამა მაისისასა უსაყვარლესი მეუღლე ჩვენი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული მშვიდობიანად განთავისუფლდა ფეხ-მძიმობისაგან, მიეცა რა ქალიშვილი, რომელიც სახელ-წოდებულ იქმნა ტატიანად.

ასეთი მატება საიმპერატორო სახლისა ჩვენისა მიგვაჩნია რა ჩვენსა და ჩვენ იმპერიასა ზედა მოფენილსა უფლისა წყალობისა ახლისა მომასწავებელად, ვუცხადებთ ამა სამხიარულო ამბავსა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა და იმათთან ერთად აღვავლენთ უზენაესისა მიმართ მხურვალე ლოცვა-ვედრებასა, რათა კეთილ-მშვიდობიანად აღიზარდოს და წარიმართოს ახლად დაბადებულმა.

ვუბრძანებთ ყოველსა საქმესა შინა, სადაცა მართებული არს, იწერებოდეს და იხსენებოდეს უსაყვარლესი ქალიშვილი ჩვენი დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოოზის ასული საიმპერატორო უმაღლესობად.

ბოძებულია პეტერგოფს 29 სა დღესა ამა მისისასა, წელსა ქრისტეს შობიდგან ათასს რვაასსა ოთხმოც და-შვიდმეტსა წელსა, ხოლო მეფობისა ჩვენისა მესამესა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“.

ბიულეტენი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის შესახებ: უავგუსტოესის მშობიარეს და უმაღლეს ახლად შობილის ჯან-მრთელობა ყოველ-მხრივ კმაყოფილია.

სახელ დებული უმაღლესი ბრძანება: სახელმწიფო სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკის მმართველს თავადს ობოლენსკის ებრძანა: შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად ყოფნა.

**ოდესსა.** ანგლიკანთა ეკლესიაში თავი ჩამოირჩო ამა ეკლესიის პასტორმა ფორდმა და დასტოვა ცოლი და სამი შვილი.

**ნიუ-იორკი.** ჰაფანიდგან 12 მილზედ მეამბოხეთ ააფეთქეს ხალხის მატარებელი. მოკლულ და დაჭრილ იქმნა 100-დე კაცი. დაშავებულ უმეტესი ჯარის-კაცობაა.

**კონსტანტინეპოლი.** მეოთხე თათბირი ზავის პირობათა შესახებ გადადებულ იქმნა შაბათამდე. დღეს ელჩთ უნდა ქონდეთ მოლაპარაკება.

## წმიდა ეკლესიის მოყვარეთა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა მიმართ.

ქრისტეს მოყვარენო და მოსავნო ძენო და ასულნო სრულიად ივერიისანო! ჩვენ დაბალნი ძმანი ქართველნი—შავთა მოსილნი, ახალ-ივერიის წმიდის მოციქულისა და მახარობელისა იოანნე ღვთის-მეტყველის სავანისანი, უმორჩილესად გთხოვთ, დაგვეხმაროთ აუცილებელის მოვალეობის აღსასრულებელად საეკლესიო სამკაულითა, ყოველ გვარის დიდის და პატარა, საღმრთო და საეკლესიო წიგნებითა და სხვითა სამღვდელო სამსახურებელის ნივთიერებითა, თქვენის ორთა ცხოვრების მოსახსენებლად და სალოცველად.

ჩვენი ადრესია:

Чрез Г. Одессу, На Св. Аѳонскую гору, въ Русскій Св. Пантелеимона монастырь, Архимандриту Отцу Андрею, для передачи, въ Обитель Св. Іоанна Богослова, Старцу Іэромонаху, Отцу, ІОНѢ грузину съ братіею.

სავანისა მღვდელ-მონაზონი იონა

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ალისუბნის მეორე კლასის საეკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელს ვიქტორ თეოფანეს ძეს ტყემალაძეს, რომლის საფასითაც, როგორც შარშან (შვიდმეტ მაისამდე), აგრეთვე წელს, ჩემდამო რწმუნებულს ზევით მოხსენებულ ალისუბნის სამრევლო სკოლას მოსდის გაზ. „ივერია“ და სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“.

ამასთანავე დიდს მადლობას ვუძღვნი ამ სკოლის დამაარსებელს ბ-ნს ნიკოლოოზ სიმონის ძეს ჩიკვაიძეს, რომელიც, მის მიერ დაკვეთილ რუსულის ჟურნალის „Нива“-ს ნომრებს წიგნებითურთ წაკითხვის შემდეგ სწირავს ამავე სასწავლებლის წიგნთ-საცავს.

ალისუბნის მეორე კლასის სამრევლო სკოლის მმართველი

მღ. მ. ბუაჩიძე


## განცხადებანი

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდგან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახებ.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყველაფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში. ნახევარი წლით-კი 4 მანათი.

### ხელის მოწერა მიიღება:

**ტფილისში:** „წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში შიო ქურჩუკაშვილთან (სათავად აზნაურო ქარვასლაში.)
**იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში:** (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.
**ქუთაისში:** ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.
**ბათომში:** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
**ფოთში:** სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.
**ოზურგეთში:** კოწია თავართქილაძესთან.
**საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან.
**ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან.
**ყვირილაში** (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
**წიფაში:** კირილე ხარაძესთან.
**ზუგდიდში:** კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.
**ლანჩხუთში** „შუამავალში“. კ. თავართქილაძესთან.
**საჭილაოში** „შუამავალში იგნიაწიძის. წილაძესთან.
**სენაკში:** ბესარ. დავითის ძე მაღაზიაში.
**ახალ-სენაკში** კ. თავართქილაქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.
**ონში:** თ. ქაიხოსრო გელოვანთან.
**განჯაში:** ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.
**ბაქოში:** გიორგი დეკანოზიშვილთან.
**კავკავში:** ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.
**ხონში:** ივანე შარაშიძესთან.
**გორში:** ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.
**თელავში:** ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.
**სიღნაღში:** დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.
**ახალციხეში:** გრიგოლ ბურჭულაძესთან.
**ახალქალაქში:** ილია ალხაზიშვილთან.
**ხაშურში:** იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
**მოლითში:** პავლე კურცხალიასთან.
**ბრეთში:** თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ მოწერილი ბარათები.

(20—4) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი**.

## „შუამავალი“

ალებ-მიცემის მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფად სამარის გუბერნიიდგან მ. ღებული ხელით ნაქსოვი **ჩალის ქუდები და კალათები.**

აქვე იყიდება **საუკეთესო ყანწული, ჩაი გისოცკისა და გოცისა,** გამოწერილი მოსკოვიდგან,—და აგრეთვე ყოველგვარი სანოვაგე, სანელი, ხილეული, კონსერვები, ჩაი-შაქარი, არყები და ღვინოები—ადგილობრივი და საზღვარ გარეთისა, პაპიროსი და თამბაქო და სხვა საყოველ-დღეო საჭირო საგნები.

ადრესი: კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონიშვილისა, № 6/1.

## ი. გოგიელოვის შვილების სავაჭრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით. (10—108—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 30 го Мая 1897 г. სტამბა ჴ. მარტიროსიანცისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ოლღა ჭავჭავაძე.